საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი

საქპატენტი

ქ. მცხეთა "14" 08 2013 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1166/03

სასაქონლო ნიშანზე სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის რეგისტრაციის თაობაზე

2013 წლის 12 აგვისტოს N 72870/03 განცხადებით ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კორპორაციის „პეპსიკო, ინკ." წარმომადგენელმა შალვა გვარამაძემ (მის.: 700 ანდერსონ ჰილ როუდი, პერჩეიზი, ნიუ-იორკი 10577) მოითხოვა სასაქონლო ნიშანზე „LAY'S" (რეგ. N 12490) სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნის ორი წლის ვადით რეგისტრაცია სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში. სასაქონლო ნიშანი „LAY'S" (რეგ. N 12490) საქართველოში რეგისტრირებულია 12.07.1999 წელს და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება 12.07.2019 წლამდე. სასაქონლო ნიშანი რეგისტრირებულია 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვალის მიმართ. არსებული გარემოებების შესწავლის შედეგად და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 52-ე მუხლის, „ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ სასაზღვრო ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს კანონის მე–4 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის N181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სასაქონლო ნიშანზე „LAY'S" (რეგ. N 12490) დარეგისტრირდეს სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნა სასაზღვრო ღონისძიებების განხორციელების შესახებ მოთხოვნათა რეესტრში ორი წლის ვადით 29-ე და 30-ე კლასების საქონლის ჩამონათვლის მიმართ . (მოთხოვნის რეგისტრაციის N349, მოთხოვნის რეგისტრაციის თარიღი 14.08.2013).

სათაო ოფისი: 3300 ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5; ტელ.: (+995 32) 2252533; ტელ./ფაქსი: (+995 32) 2988419
გამომცემლობა: 0179 ქ. თბილისი, ნინო რამიშვილის ქ. №31; ტელ.: (+995 32) 2252796
E-mail: info@sakpatenti.org.ge
www.sakpatenti.org.ge

2. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში კანონით დადგენილი წესით სამი თვის ვადაში ან მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: მცხეთა, სამხედროს N 17) ერთი თვის ვადაში.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ეგუტია

ეგზავნება: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტს; ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კორპორაციის „პეპსიკო, ინკ." წარმომადგენელს შალვა გვარამაძეს (მის.:სულხან ცინცაძის 56, ბინა 36, 0160 თბილისი).

ასლი დედანთან სწორია
"14" 08 2013წ.
ხელმოწერა

ინფორმაცია სასაქონლო ნიშნის შესახებ:

ნიშანი: **LAY'S**

რეგისტრაციის N: **12490**

მფლობელი: **პეპსიკო, ინკ. , ჩრდილოეთ კაროლინას შტატის კორპორაცია**

მისამართი: **700 ანდერსონ ჰილ როუდი, პერჩეიზი, ნიუ-იორკი 10577, აშშ**

კლას(ებ)ი:

29 - ხორცი, თევზი, ფრინველი და ნანადირევი; ხორცის ექსტრაქტები; დაკონსერვებული, გამომშრალი და თბურად დამუშავებული ხილი და ბოსტნეული; ჟელეები, მურაბები, კომპოტები; კვერცხი, რძე და რძის ნაწარმი; საკვები ზეთები და ცხიმები და ყველა საქონელი შეტანილი ამ კლასში.

30 - ყავა, ჩაი, კაკაო, შაქარი, ბრინჯი, ტაპიოკა, საგო, ყავის შემცვლელები; ფქვილი და მარცვლეულის პროდუქტები, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ნაყინი; თაფლი, ბადაგის ვაჟინი; საფუარი, საცხობი ფხვნილები; მარილი, მდოგვი; ძმარი, სოუსები (სანელებლები); სუნელები, საკვები ყინული და ყველა საქონელი შეტანილი ამ კლასში.